595 580 131

შპს კარიბჭე
ს ლ ც № 4725
ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. № 45
ტ.: 5 33 27

LTD KARIBCHE
SLC № 4725
45, str. G. Tabidze. Kutaisi, Georgia
T.: 5 33 27

№ 7 „20" 03 2012 წ.

ქ. ქუთაისის მერის მოადგილეს
ბატონ დავით ანდღულაძეს

მიმდინარე წლის 22 თებერვალს ხელშეკრულება №117 საფუძველზე მოვიგე ტენდერი ჭაბუკიანის ქუჩაზე, არსებული სასულესა და მოქალაქე დადუნაშვილის მცხ. ჭაბუკიანის ქ№12. საცხოვრებელი სახლის გამაგრების საპროექტო საძიებო სამუშაოებთან დაკავშირებით. სამუშაო უნდა დამთავრდეს 22 მარტს. პროექტის გაკეთებისათვის საჭიროა გაკეთდეს ტოპო გადაღება და შენობის გეოლოგიური გამოკვლევა, უამინდობის გამო (თოვლი) ვერ მოხერხდა აღნიშნული სამუშაოების ჩატარება.

გთხოვთ გამიგრძელოთ შესრულების ვადა 10 დღით.

პატივისცემით

შპს „კარიბჭე"-ს დირექტორი: /ე. მინაძე/

20.03.2012 წ

ქ. ქუთაისის მერია
კეთილმოწყობის სამსახური
№ 01-116
20 03 2012

ქუთაისის მერია
შემოსულია 01-1939
20 03 2012
ფურცლ რაოდენობა 1

# საქართველო
## თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერიის
## კეთილმოწყობის სამსახური

№ 01-116
"20" 03 2012 წ.

4600, საქართველო, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. №3
ტელ: (8995 331) 4 10 70
e-mail: communal_department@yahoo.com

ქუთაისის მერის მოადგილეს
ბატონ დავით ანდღულაძეს

ბატონო დავით,

შპს "კარიბჭე"-მ №117 ხელშეკრულების შესაბამისად უნდა შეადგინოს ჭაბუკიანის ქუჩაზე არსებული სასულეს და მოქალაქე დადუნაშვილის მცხ. ჭაბუკიანის ქ №12 საცხოვრებელი სახლის გამაგრების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია, ტოპო გადაღებით და შენობის გეოლოგიური გამოკვლევების გათვალისწინებით. ორგანიზაცია ითხოვს უამიდობის გამო (დიდთოვლიანობის) ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელაბას 10 კალენდარული დღით.

კეთილმოწყობის სამსახური თანახმა ორგანიზაციას გაუგრძელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადა 10 კალენდარული დღით.

თქვენი თანხმობის შემთხვევაში გთხოვთ დაავალოთ შესყიდვების სამსახურს უზრუნველყოს დანართი შეთანხმების გაფორმება №117 ხელშეკრულებაზე.

პატივისცემით
ლევან ჭანჭალეიშვილი
სამსახურის უფროსი

სახელმწიფო შესყიდვების საქალაქო სამსახური
№ 323
21 03 2012.

01-1939
20 03 2012

დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „კარიბჭე"–ს შორის

2012 წლის 22 თებერვალს გაფორმებული №117 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი 22 მარტი 2012 წელი

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონმდებლობისა და ,,მიმწოდებლი"–ს საკონკურსო წინადადების საფუძველზე,) კონკურსის (საკონკურსო განაცხადი №311. 14.02.2012) ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „კარიბჭე"–ს შორის, 2012 წლის 22 თებერვალს გაფორმდა №117 ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში ჭაბუკიანის ქუჩაზე არსებული სასულეს მიმდებარე ტერიტორიის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა.

შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს 2012 წლის 20 მარტის წერილისა და მერიის კეთილმოწყობის სამსახურის 2012 წლის 20 მარტის №01–116 მომართვის თანახმად მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისის მერიასა და შ.პ.ს „კარიბჭე"–ს შორის, 2012 წლის 22 თებერვალს გაფორმებული №117 ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 10 (ათი) კალენდარული დღით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ თვითმმართველი ქალაქ ქუთაისის მერია, ქალაქის მერის მოადგილის დავით ანდღულაძის სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170 ტელ: 24-64-48) (შემდგომში „შემსყიდველი“)

მეორეს მხრივ, შ.პ.ს ,,კარიბჭე", მისი დირექტორის ელგუჯა მინაძის სახით (იურ. მისამართი: ქ. ქუთაისი, გ. ტაბიძის ქ. №45, ფაქტ. მის: ქ. ქუთაისი, თბილისის ქ. №4, ტელ: 595 58 01 31, ს/კ 212840112, ს.ს ,,საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი BAGAGE22, ა/ა GE97BG0000000113614000) (შემდგომში „მიმწოდებელი“).

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2012 წლის 22 თებერვალს გაფორმებული №117 ხელშეკრულების 15.1 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ბოლო დღედ მიეთითოს 2012 წლის 01 აპრილის ჩათვლით.

2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2012 წლის 22 თებერვალს გაფორმებული №117 ხელშეკრულების მე–11 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი შეთანხმების პირველ მუხლით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

3. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და წარმოადგენს 2012 წლის 22 თებერვალს გაფორმებული №117 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

| | |
|---|---|
| დავით ანდღულაძე | ელგუჯა მინაძე |
| ქალაქ ქუთაისის მერის მოადგილე<br>საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე | შ.პ.ს ,,კარიბჭე"–ს დირექტორი |
| (შემსყიდველი) | (მიმწოდებელი) |